

# საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ს ხ დ ო მ ა

2019 წლის 11 თებერვალი, 11:00 საათი

## დღის წესრიგი

1. მსჯელობა კანონპროექტზე - „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“

- კანონპროექტი ითვალისწინებს რაიონულ (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოებში მოსამართლეთა უვადოდ გამწესების შეჩერებას 2024 წლის 31 დეკემბრამდე.

მომხსენებელი

➤ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი გიორგი მიქაუტაძე

2. სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარის წერილი

- წერილით წარმოდგენილია ინფორმაცია IT ინფრასტრუქტურის დაცულ რეჟიმში ფუნქციონირების მხარდასაჭერად ჩატარებული ღონისძიებების თაობაზე.

მომხსენებელი

➤ სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე გიორგი კაკაურიძე

3. რეკომენდაციის პროექტი - „რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში უფასო იურიდიული კონსულტაციის გაწევის შესახებ“

- პროექტი ითვალისწინებს სასამართლოს მომხმარებლებისათვის უფასო იურიდიული კონსულტაციის გაწევას.

მომხსენებელი

➤ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი ლევან გზირიშვილი

4. გადაწყვეტილების პროექტები - „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის თანამდებობრივ სარგოზე დანამატის განსაზღვრის და საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფის ხარჯების ანაზღაურების წესის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2010 წლის 26 თებერვლის №1/20 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის თანამდებობრივ სარგოზე დანამატის განსაზღვრის და საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფის ხარჯების ანაზღაურების წესის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 5 თებერვლის №1/89 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

- პროექტები ითვალისწინებს 2019 წლის განმავლობაში საერთო სასამართლოების მოსამართლეებისათვის დანამატის დაწესებას.

მომხსენებელი

➤ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი გიორგი მიქაუტაძე

5. ინფორმაცია - საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის № 3/2/767,1272 გადაწყვეტილების თაობაზე (საქმე - საქართველოს მოქალაქეები ჯიმშერ ცხადაძე და მამუკა ჭანტურია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ)

მომხსენებელი

➤ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი  
გიორგი მიქაუტაძე